ბრძანება:**ბ03.03221011**
თარიღი:**11/04/2022**

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ერევნის უხუცესთა საბჭოს დელეგაციის სტუმრობასთან დაკავშირებით**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (პროტოკოლის განყოფილება) ხელმძღვანელის დავით მაჭავარიანის 2022 წლის 11 აპრილის **N:03-032210123** წერილის თანახმად:

**ვბრძანებ:**

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2022 წლის 11-14 აპრილს, სომხეთის რესპუბლიკის დედაქალაქის ერევნის უხუცესთა საბჭოს დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, ვიზიტის პერიოდში, შეხვედრებზე სომხურენოვანი თარჯიმნის მომსახურებისთვის, სტუმრებისთვის შერჩეულ რესტორანში ვახშმით გამასპინძლებისთვის და სტუმრებზე გადასაცემად სამახსოვრო საჩუქრების შეძენისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის ბიუჯეტის „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან გამოყოფილი იქნეს 3500 (სამიათასხუთასი) ლარი.

2. ხარჯების გაწევა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძეს;

4. ბრძანება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი №64).

გიორგი ტყემალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური